შაბათი, 1917 წ. მარიამობისთვის 12 (25)

წელიწადი მესამე

ფასი 10 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ მარიამობიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით—5 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღია არის დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 177 ერთვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 177

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

ფრანგებსა და გერმანელთა შორის ვერდენთან კვლავ დიდი ბრძოლაა.

გერმანეთი შვეიცარიას სავაჭრო ხელშეკრულობით შეეკრა.

დროებით მთავრობის ინსტრუქციის გამო უკრაინის მთავარ სეკრეტარიატი თანამდებობიდან გადადგა.

უკრაინელთა რადა მოსკოვის თათბირს ბოიკოტს უცხადებს.

მოსკოვში 400 პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირია.

პეტროგრადში დაიწყო სუხომლინოვის საქმის გარჩევა.

წერილები

ბ. ვეშაპელი. კავკასიის დაცვისათვის.

ეკ. გაბაშვილისა. გ. ზდანოვიჩის ხსოვნას.

ს. ქურდიანი. საქართველოს ტყეები.

ვ. მაჭარაშვილი. ქართველი გრიგორიანები.

აპ. წ—ძე. ბათომის ახალი საბჭო.

კორესპონდენცია: გუმბრიდან და მეჯვრისხევიდან.

სასულიერო სასწავლებლებში.

ნებითა ღვთისათა 8 აგვისტოს გარდაიცვალა მე-4 კურსის პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი

ნიკოლოზი ლუკას ძე მოსულოვი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმები მეუღლითურთ, დები და სიძენი: ზაქარია ლუკას ძე და ანნა ათანასეს ასული, კონსტანტინე ლუკას ძე და ელენე იოანეს ასული, ლუკა ლუკას ძე და ნინა ზაქარიას ასული, თომა ლუკას ძე მოსულოვი, მარია ლუკას ასული და ედუარდი ნიკოლოზის ძე ბეინარსკები, ელენე ლუკას ასული და ალექსანდრე ლევანის ძე თულაევი, თამარა ლუკას ასული და გიორგი ნიკოლოზის ძე კვეზერელი-კოპაძე, ნინო ლუკას ასული და მიხეილი გრიგოლის ძე რცხილაძე და ანნა ლუკას ასული მოსულოვისა.

პანაშვიდი ყოველ დღე. გამოსვენება მოხდება შაბათს, 12 აგვისტოს განსვენებულის ბინიდან, ქ. სიღნაღი, ნუკრიანის წმ. გიორგის სასაფლაოზე. 2—746—2

საქართველოს ერთვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან. 1—732—თ.

საქართველოს ერთვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

საქართველოს ერთვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან. 751

საქართველოს ერთვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

აუწყებს კლუბის წევრთ, რომ ამა წლის

13 აგვისტოს, დღისით 12 საათზედ

კლუბის დარბაზში დანიშნულია გაგრძელება კლუბის წევრთა

საგანგებო კრებისა

განსახილველია: არჩევნები მუდმივ მოსიარულეთა და სხვა 1—731—1

ახალი საკრებულო

საზაფხულო სადგომი. მიხეილის ქუჩა № 131.

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

შაბათს, 12 აგვისტოს

ოპერეტკა

რუსულ ენაზედ.

დასაწყისი საღ. 9 საათზედ.

სტუმრები საზოგადო წესით.

1—733—1

ქუთაისი

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:

1) ს. რ. გორგაძე. კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) ია. ეკალაძე. მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . — 5 „

იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:

1) ზ. ყიფიანი. დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია.
3) ს. რ. გორგაძის რედაქტორობით. წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა.
4) იპ. ვართაგავა. შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო.
5) მიხ. ზაალიშვილი. არა ორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).

მალე დაიწყება ბეჭდვა:

1) ალ. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (პირვ. კლ. კურსი).
2) ს. გორგაძე. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით. მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) ი. გომელაური. მოწაფის ჰიგიენა. მესამე გამოცემა.
4) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერაში.
5) მისივე. გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—10)

დოქტორი მედიცინისა

[illegible]

კალანდარიშვილი

ყოფილი უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს იღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი

მ. ბ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: ძველი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა სამხედრო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კბილისა

ე. ივ. ბალარჯიშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და [illegible] ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

ე. დ. შალამბერიძე

იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

მ. ი. [illegible]

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქ. № 4. (თ.—203—)

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველ დღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—9)

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—4

გორის საქალაქო არჩევნებისათვის

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხმოსანთა კანდიდატების სია არის

№ 2

1. ამირეჯიბი ირაკლი გიორგის ძე—ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
2. მეზურიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე—ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი.
3. შიუკაშვილი ნიკო ივანეს ძე—საქალაქო სასწავლებლის უფროსი.
4. გვერდწითელი გაბრიელ ივანეს ძე—ექიმი.
5. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე—ვაჭარი.
6. ერისთავი გიგო ნიკოლოზის ძე—ბანკის დირექტორი.
7. რომანაშვილი დავით მიხეილის ძე—კომერსანტი.
8. კაპანაძე გიგო თეიმურაზის ძე—ბანკის დირექტორი.
9. კვალიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე—ბანკის დირექტორი.
10. ლიპარტიანი პარმენ ქაიხოსროს ძე—ფოსტის უფროსი.
11. ხარატაშვილი ალექსი სოლომონის ძე—ვაჭარი.
12. თარხან-მოურავი ელენე ზაალის ასული—პრა-კერვის სკოლის დამარსებელი.
13. წერეთელი სიმონ დიმიტრის ძე.
14. ხალარიძე გიორგი ნიკონის ძე—მასწავლებელი გიმნაზიისა.
15. კოშორიძე პლატონი გაბრიელის ძე—წვრილი კრედიტის მოხელე.
16. ეგნატაშვილი იაკობი გიორგის ძე—კომერსანტი.
17. ციხეთათრიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე—მოხელე ფოსტისა.
18. ტიტიაშვილი დავით დიმიტრის ძე—მოხელე ფოსტისა.
19. მახარაშვილი დიმიტრი პავლეს ძე—მრეწველი.
20. ხუციშვილი გიორგი იოსების ძე—მუშა.
21. ზებიაშვილი გიორგი ზაქარიას ძე—მუშა.

გაზეთ „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთის გამოცემისთვის აუცილებელ ხარჯების შესამჩნევლად გადიდებამ (მუშების ხელფასის ერთი ხუთად მომატებამ და გაზეთის ქაღალდის ერთი ათად გაძვირებამ) გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა აიძულა 15 მარიამობისთვიდან გაზეთს ფასი დროებით ისევ მოუმატოს და გახადოს იგი ნომერზე—15 კაპ.

კავკასიის დაცვისათვის

რუსეთ-ოსმალეთის ასპარეზის შესახებ დამაფიქრებელი ცნობები მოდის: ამას წინად გერმანეთის ახალი კანცლერი მიხაელისი იმუქრებოდა, როგორც კი სიცხეები გადაივლის, ოსმალები რუსებს შეუტევენო. ახლა ეს შეტევა მართლაც დაიწყო, ჯერ ხნობით ხარფუტის გზით... ინგლისელთა ჯარებს, ყაზანის თათრულ გაზეთის „დურმუშის“ გადმოცემით, თურმე მარცხი მოსვლიათ და ოსმალებს ბაღდადიც და კუტელამარაც დაუბრუნებიათ.

„Vorwärts“ სამხედრო მიმომხილველი გიტკე სწერს: გერმანელთა მორიგი მიზანი თბილისში და კავკავში ჩასვლა არისო.

კავკასიის ფრონტზე მდგომ რუსეთის ჯარში, როგორც ამას გვამცნობს მისი საოლქო ორგანო—„გოლოსი“, დიდი მილტოლვაა დასავლეთის ფრონტზე გადასვლისა; ჯარის კაცთა საბჭოს ცნობით 200 ათასამდე კაცს აქვს უკვე ნათხოვნი გადაყვანა... ეს გარემოება ალბათ კავკასიის მთიან ასპარეზზე ბრძოლის სიძნელით უნდა აიხსნას.

მართალია, სისტემატიურ დეზორგანიზაციას, რომელიც შეაქვთ ჯარებში ეგრედ წოდებულ „ბოლშევიკებს“ და რომელსაც სხვა ფრონტებზე უკვე მოჰყვა ნაწილობრივ დემობილიზაციის განხორციელება—ჯარების მთელი პოლკების უკან დახევა და გზა და გზა მშვიდობიან მცხოვრებთა დარბევას და ძარცვას, ჯერ არ უჩენია თავი კავკასიის ფრონტზე, ისიც მართალია, რომ კავკასიის რუსის ჯარებში არ გაუჭრია იმ პროვოკაციას, რომელიც აგონებს მათ, რუსების რა საქმეა კავკასიელ „აზიატების“ მომავალ „საავტონომიო ტერიტორიისათვის“ სისხლის დვრაო, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მომავალი ზამთრის კამპანია სხვანაირ პოლიტიკურ პირობებში იწყება შარშანდელთან ან შარშანწინდელთან შედარებით.

ამიტომ არის, რომ კავკასიელ ერების ხელმძღვანელი ორგანოები უფრო და უფრო მეტის ყურადღებით ეკიდებიან იმ საკითხს, თუ როგორ უნდა იქმნას დაცული ერის ფიზიკური არსებობა ყოველივე შესაძლებელ მოულოდნელ და მოსალოდნელ საფრთხისაგან.

ყველაზე უფრო გარკვევით გამოეხმაურენ ამ საკითხს სომხები, რომელთა მიწა-წყალი უფრო შეჭრილია სამხედრო ასპარეზში.

გაზეთ „მშაკის“ გადმოცემით ახლად მოწვეულ სომხურ ეროვნულ ყრილობის ერთი საგულისხმო საგანი სომხური ერის ფიზიკური არსებობის თავდაცვა არის.. ამისათვის „მშაკის“ თქმით შემდეგი ზომები უნდა იქმნას მიღებული:

ა) თუ რუსის ჯარმა ოსმალეთის სომხეთი დასტოვა, სომეხთა ბატალიონები უნდა დადგნენ არარატის ოლქში, ძველ რუსულ-ოსმალურ საზღვრის დასაცავად.

ბ) სომხური ბათალიონები უნდა შეივსოს იმ სომეხ ჯარისკაცებით, რო-

მილნიც ფრონტის ზურგში არიან, და ეს ბატალიონები პოლკებად უნდა გადაკეთდენ, სულ 10 პოლკი უნდა იყოსო.

გ) უნდა ვამცნოთ ჩვენ მეზობელ თათარ-სპარსელებს, რომ სომხები მათ არავითარ შემთხვევაში ზიანს არ მიაყენებენ...

დ) უნდა შევკრათ კავშირით ქართველ ერს საერთო შეთანხმებულ მოქმედებისათვის, რათა ქართველმა პოლკებმა დაიცვან საჭიროებისამებრ სარიყამიშ-ოლთის-არტანუჯის სამხედრო ბრძოლის ხაზი, მათი მამულის თავისუფლებისათვის»!..

სომეხ-კონსერვატორთა ისეთ სტრატეგიულ-ტაქტიკურ დეტალებს რომ თავი დავანებოთ, როგორიცაა ქართველთა მამულის თავისუფლებისათვის სარიყამიშ-ოლთის-არტანუჯის საბრძოლო ხაზის დანიშვნა,—უეჭველია რომ კავკასიელ ერებისათვის სარევოლუციო რეჟიმის გამაგრებისათვის ზრუნვა ეროვნულ ფიზიკურ-არსებობის უზრუნველ ყოფასთან არის გადაწნული. . კავკასიის სამხედრო ფრონტისაგან მოულოდნელ ამბებისაგან თავის დაზღვევა მორიგი საქმეა როგორც მთავრობის, ისე ეროვნული სარევოლუციო ორგანოებისა.

გ. ვეშაპელი.

გ. ზდანოვიჩის ხსოვნას*)

ამ სამი წლის წინეთ ქუთაისში მომიხდა ყოფნა. პავლოვაძის ქუჩაზე მქონდა ბინა და ყოველ დღე, ზოგჯერ, დღეში ორჯელ, ქალაქში გავლის დროს მიხდებოდა გიორგი ზდანოვიჩის სახლის წინ გავლა და ყოველთვის დიდის ყურადღებით დავაკვირდებოდი ხოლმე ლამაზ, სუფთას, ევროპიულად ნაგებს და ყვავილნარებით შემკულს იმის სადგურს, იმის კაბინეტის ფანჯრებსაც შევავლებდი ხოლმე თვალს და ვხედავდი იქ მჯდომ დარბაისელ, ფაქიზათ ჩაცმულ მოხუცს, რომელიც განმარტოებული, ღრმად ჩაკვირვებული ეწეოდა გონებრივ მუშაობას და ეს გარეგნული ჩემი დაკვირვება უფრო ნათლად მიყენებდა თვალ-წინ იმ კაცის პიროვნებას, რომელსაც ჩემ წარმოდგენაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ედო, არ ჰგავდა სხვა ქართველ მოღვაწეთ.

ეს იყო ინტელიგენტი იშვიათი ერთი იმ ინტელიგენტთაგანი, რომელნიც არ ეკუთვნიან არც ერთ ეროვნებას, არამედ შეადგენენ მთელი კაცობრიობის გონიერობის ნადუღს—ესენციას და მთელი მათი შინაარსი, მთელი მათი ბუნება, რაღაც უმაღლესს, სათუთს არისტოკრატულ სიწმინდეს და სიფაქიზეს შეიცავენ. ესენი კეთილნი არიან, ზრდილნი, ზნეობა მაღალნი, კეთილად ფიქრობენ, კეთილს სჩადიან არა იმიტომ რომ კეთილი ჰქმნან, არა, მხოლოდ იმიტომ რომ სხვაფრივ არ შეუძლიათ იცოცხლონ, იმოქმედონ; ეს იმათი განუყრელი თვისებაა, იმათი სიცოცხლის სტიმული.

სოციალ-ფედერალისტები დაჟინებით ამბობენ და სხვებიც ეთანხმებიან იმათ, რომ გიორგი ზდანოვიჩი იმათ პარტიის ლიდერი იყოვო.

მე ეს არ მჯერა, არც მახსოვს, რომ სადმე ის საჯაროდ, ან სიტყვით, ან წერით გამოსულიყვეს იმ პარტიის დამცველად, წინამძღოლად. მე ამას ვამბობ არა იმიტომ რომ ფედერალისტთა პარტია ღირსი არ იყოს ზდანოვიჩის მეთაურობისა, არა, მე მხოლოდ ამით ის მინდა ვსთქვა, რომ ზდანოვიჩისთანეები თავისის უდიდესის ინტელიქტობით გაცილებით მაღლა სდგანან, რომელსამე პარტიაზედ, პარტიულ ბრძოლაზედ, პარტიულ ხელმძღვანელობაზედ. ისინი როგორც მსოფლიო მოქალაქენი არ ხურდავდებიან და მთლად მთელის თავის შემადგენლობით ეკუთვნიან მხოლოდ სიმართლეს და სიმართლეს იმსახურებიან საიდგანაც და ვისგანაც უნდა წარმომდინარეობდეს იგი სიმართლე.

და თუ ხანდისხან ის გამოდიოდა საბრძოლველად ზოგიერთა პარტიათა უმეცრების დასაგმობად, მხოლოდ უმეცრების დასაგმობად, როგორც სიმართლის გზის გამმრუდებელთა დასაგმობათ.

რა დროსაც უნდა ეკუთვნოდნენ, სადაც უნდა სცხოვრებდნენ, ყოველგან და ყოველთვის თავის გარშემო სიკეთეს სთესენ და თუ სამოცდა-ათიან წლებში გიორგი რევოლუციის პირველი და ძრიელი პიონერი იყო, ეს გასაკვირველიც არ არის, იმათთანა პირნი ყოველთვის იქ არიან სადაც სამართალია დაჩაგრული და თავისას თავის განწირვით ამარცხებენ უსამართლობას.

მე იქნება ნათლად და გარკვევით ვერ ვსახავ იმ ტიპს, რომელსაც ეკუთვნოდა ზდანოვიჩი, მაგრამ ის კი კარგად მესმის, რომ ის დემოკრატი არ იყო და არც დემოკრატიის თაყვანისმცემელი, მხოლოდ იმიტომ რომ ის დემოკრატია მუშაობით ხელებ დაკოჟრებული. დემოკრატობა, დემოკრატიის თაყვანისცემა ერთობ პატივსადებ სახელად გადაიქცა, მაგრამ განა ის კაცი უფრო მაღლა არა სდგას, ვინც დემოკრატიას კი არა, მთელ კაცობრიობას ეტრფის და მის ქურუმობას ეწევა?

განა დემოკრატობაა მარტო კაცის შექმნის მიზანი, განა მარტო დემოკრატიას ძალუძს ადამიანთა ბედნიერების შექმნა, იმის სულიერის სიმშვენიერის ტარება?

ვარ. ჩერქეზიშვილი ამბობს: იმის არსებაში შედუღებული იყო 2 ტანჯული ერის სული—პოლონელის და ქართველის და იგი იყო ჭეშმარიტი ნაციონალისტი და ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი და არა ლიდერი რომელიმე პარტიის და განკერძოებული მიმართულების მონა.

ეკატ. გაბაშვილისა.

---

*) ღრმად პატივცემულ ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს.

ომი და ზავი

ინგლისის შტაბის ცნობა.

ლონდონი. მარიამობის. 9. დილით ლანსის მახლობლად გერმანელთა თხრილებზე მივიტანეთ იერიში. ხელთ ვიგდეთ ასპარეზი 2,000 იარდის მანძილზე. (2 ვერსამდე) ცხარე ბრძოლა კვლავ სწარმოებს. ლანსის ჩრდილო დასავლეთით ცხარე კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. მესსინის ჩრდილო-დასავლეთით ცხარე ბრძოლით გერმანელთა თავდასხმა მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. გუშინ გერმანელთა მფრინავებმა კვლავ განაახლეს ძლიერი მოქმედება. ჩვენი მფრინავებიც დიდ სიმარჯვეს იჩენენ. ჩამოვაგდეთ გერმანელთა ცხრა ჰაეროპლანი. დავაზიანეთ 7. ჩვენ 4 ჰაეროპლანი გვაკლია.

საფრანგეთის შტაბის ცნობა.

პარიზი. მარ. 9. მდ. ენის სხვა და სხვა პუნქტების მოწინავე ასპარეზებს წუხელ გერმანელებმა გაცხარებული ყუმბარების სროლა აუტეხეს. გერმანელებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში მენქანის ფერმის რაიონში, ბრეს აღმოსავლეთით, ბოველის სამხრეთით და კალიფორნიის ზეგანზე. ასპარეზები ყველგან შევინარჩუნეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე გუშინ საღამოს გერმანელთა გაცხარებული კონტრ იერიშები მოვიგერიეთ მორტომსა და „304“ სიმაღლის შუა. გერმანელებმა ჩვენ სანგრების პირველი წყება დაიჭირეს მაგრამ კონტრ-იერიშებით მალე დავაცლევინეთ. მაასის მარცხენა მხარეზე, კროვეს ტყის ჩრდილოეთით მტრის იერიშებს ვიგერიებდით. მარიამობისთვის 7 წამოყვანილი ტყვეთა რიცხვი 6116 კაცს უდრის, მათში 174 ოფიცერია. მათ გარდა 600 დაჭრილი ტყვე საავადმყოფოში მოვათავსეთ.

კონგრესი შვედეთის საპროფესიო კავშირთა

სტოკჰოლმი. მარიამობისთვის 8. გაიხსნა მე-7 კონგრესი შვედეთის საპროფესიო კავშირთა ორგანიზაციისა. დელეგატთა რიცხვი 350. კონგრესზე მიწვეულნი იყვნენ საზღვარგარეთის ყველა საპროფესიო კავშირთა ორგანიზაციები, მაგრამ მოვიდნენ მხოლოდ წარმომადგენელნი სკანდინავიის ქვეყნებისა, გერმანეთისა და ფინლიანდიისა. კონგრესი მიესალმა ჰოლანდო-სკანდინავიის მუშათა კომიტეტს და დაადგინა, რომ შეკავშირებული მუშები ყველა ქვეყნებისა ყოველი საშუალებით უნდა წინაღუდგნენ ომის გაგრძელებასა.

გერმანელთა შტაბის ცნობა

(მკათათვის 30)

დასავლეთის ფრონტი

კრონპრინც რუპრეხტის ფრონტზე. ფლანდრიეთში გუშინ ბრძოლა შესუსტდა; საღამოს კი ბრძოლის ცეცხლი კვლავ დაიწყო. იგი არც ღამე ჩამქრალა. დღეს დილით ფრონტის რამდენიმე უბანზე მტრის ძლიერი მზვერავი რაზმები შემოტევას შეეცადნენ, მაგრამ მოვიგერიეთ. ხოლეკეს ჩრდილოეთით ინგლისელთა რამდენიმე პოლკმა შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. ლაბასსეს არხიდან სკარპის სამხრეთ ნაპირამდის და აგრეთვე სენ კანტენის ჩრდილო - დასავლეთამდე ბრძოლა ცხარდება.

კრონპრინცის ფრონტი. ენის ფრონტზე, დასავლეთ შამპანში და აგრეთვე მაასის ორსავე მხარეზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. სერნი-ან-ლაონნუასთან საღამოთი ფრანგების იერიშები მოვიგერიეთ, კენილესთან ჩვენ მიერ დაჭერილი ასპარეზების მახლობლად მტრის ყუმბარის მტყორცნელი ჯარი მოვიგერიეთ.

ჰერცოგ ალბრეხტის ფრონტი. მნიშვნელოვანი შეტაკება არა გვქონია. პორუჩიკ № მა საჰაერო ბრძოლაში დაღუპა 22 თუ 23 მოწინააღმდეგე.

აღმოსავლეთის ფრონტი

გენერალ პოლკოვნიკ ერცჰერცოგ იოსების ფრონტი. გერმანელთა და ავსტრო-უნგრელთა დივიზიებმა დაიპყრეს რამდენიმე სიმაღლე და სოფელი გროცეშტი. ჩვენმა ჯარმა ოიტოზის ველის სამხრეთით დაიხია. მტერს ახალი ძალები მოეშველნენ.

გენერალ პოლკოვნიკ ფელდმარშალ ფ. მაკენზენის ფრონტი. ფოკშანის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. სერეტისა და არჟენაისკენ მიმავალ რკინის გზის შუა გუშინ რუსებმა და რუმინელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს ჩვენს ასპარეზზე. რკინის გზის დასავლეთით მტერი ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ განვდევნეთ. შეეცადნენ კონტრ-იერიშებს, მაგრამ ამაოდ; დიდი ზარალიც მივაყენეთ. სერეტიდან დუნაიამდის ბრძოლის ცეცხლი გუშინდელზე უფრო გაძლიერდა. ესაულის შესართავთან რუსების იერიშები მოვიგერიეთ.

მაკედონიის ფრონტი

საღამოს ცნობა. ფლანდრიეთში საარტილერიო ცეცხლია. ტარტუმის ველის აღმოსავლეთით და სუშიცის ჩრდილოეთით შეტევითი ბრძოლა გვაქვს.

სუხომლინოვის გასამართლება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 10. გაიხსნა სხდომები სენატის საკასაციო დეპარტამენტის სისხლის სამართლისა ნაფიც თანამსაჯულთა მონაწილეობით. ირჩევა ყოფილ სამხედრო მინისტრის სუხომლინოვისა და მისი ცოლის საქმე.

თავმჯდომარის კითხვაზედ სუხომლინოვი ღელავს და ნელის ხმით უპასუხებს: „მე 69 წლისა ვარ, გავათავე აკადემია გენერალურ შტაბისა. შვილები არა მყავს. თანხა 400.000 მან.“ ცოლი დამშვიდებულად უპასუხებს: „მე 36 წლისა ვარ, არავითარი ქონება არა მაქვს“. 200 მოწმიდან არ გამოცხადდა 90, მათ შორის გენერლები რუზსკი, ალექსეევი და მონიკოვსკი, პირველი ქმარი სუხომლინოვისა ბუტოვიჩი, როძიანკო, სუვორინი და მილიუკოვი. უკანასკნელმა სამმა შეატყობინეს, რომ წავიდნენ მოსკოვის თათბირზე და როცა მოათავებენ გამოცხადდებიან. მოსულ მოწმეთა შორის არიან: გუჩკოვი, გენ. ივანოვი, მაკაროვი, ბელეცკი, ვისსარიონოვი. უკანასკნელი სამნი დარაჯებით. თუმცა დამცველებმა იშუამდგომლეს საქმის გადადება მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, სენატმა დაადგინა საქმე განაგრძოს. დამცველებმა ახლა მოითხოვეს გადადება იმ საბუთით, რომ სუხომლინოვის სამართალში მიცემა სენატის საქმე იყო და არა დროებითი მთავრობისა. პროკურორი უპასუხებს: „დროებით მთავრობას აქვს სრული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება და ამიტომ უფლებაც ჰქონდა მიეცა სუხომლინოვი სამართალში“. სენატი ეთანხმება ობერ-პროკურორს. სასამართლო იწყებს ნაფიც თანამსაჯულთა არჩევას, უმეტესობა მათგანი დაბალი მოხელეებია; მამასახლისად ირჩევენ მოხელეს—როგგეს. საბრალდებლო ოქმის წაკითხვას [illegible] 6, აფიცებენ მოწმეებს. საბრალდებლო საქმის წაკითხვა გადადება მეორე დღისათვის. სხდომა დაიხურა საღამოს 9 საათზე. ნაფიც თანამსაჯულთ ღამის გასათევად ბინები სასამართლოშივე მისცეს.

რომის პაპის საზავო ნოტა

რომი. მარიამობისთვის 2. „სტეფანის სააგენტო“ პაპის მიერ მებრძოლ სახელმწიფოთადმი წარდგენილ საზავო ნოტის ტექსტს იტყობინება:

„დღიდან ტახტზე ასვლისა, რომელიც ევროპაში აწ მგრგვინავ ომის საშინელებათა შორის მოგვიხდა, ჩვენ სამ გარდაწყვეტილებას დავადექით: პირუთვნელად მოვეპყრათ ყველა მებრძოლთ, როგორც ეს მას შეეფერება ვინც არის უკეთესი და ვისაც ყველა თვისი შვილი ერთნაირის სიყვარულით უყვარს; ვეზრუნოთ ყველასათვის მიგებად კეთილისა, რამდენადაც ეს შესაძლო იქნება უპირმოთნეოდ, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ვითარცა ამას გვავალებს თვით კანონი სიტონოებისა და ქრისტეს მიერ ბოძებული უმაღლესი სასულიერო ხარისხი; დასასრულ—ვინაიდან ამასვე მოითხოვს ჩვენი მისია შემრიგებლისა—არ გამოვგრჩეს არაფერი რაც ჩვენ გვეხელეწიფება და რაც კი ხელს შეუწყობს ამ ბარბაროსობის კეთილად დაბოლოვების დაჩქარებას, და ვეცადნეთ რომ ერები და მათი წინამძღვარნი შეზომილ გარდაწყვეტილებათა და „სამართლიან და მტკიცე“ ზავის სიწყნარით განსჯის გზაზე დავაყენოთ.

ვინც თვალყურს ადევნებდა ჩვენს, ამ მწუხარე სამი წლის მოღვაწეობას—ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენ მარად ვერთგულებდით ჩვენს გარდაწყვეტილებას—ვიყავით ყველასთან პირუთვნელი—და, ვწირავდით რა ყოველივე ჩვენს ძალღონეს სამშვიდობისმყოფო საქმეებს, მარად მოვუწოდებდით მებრძოლ ერებს და სახელმწიფოთ ყოფილიყვნენ კვლავ ძმები, თუმცა ყოველივე ის რასაც კი მივმართეთ ამ დიად მიზნის განსახორციელებლად არ გამოგვიმჟღავნებია.

ომის ერთი წლის შემდეგ ჩვენ დაბეჯითებითი მოწოდებით მივმართეთ მებრძოლ ეროვნებებს და უჩვენეთ ის გზა, რომლითაც ყველასათვის მტკიცე და საპატიო ზავის მიღწევა შეიძლებოდა. საუბედუროთ, არ ესმინეს ჩვენს მოწოდებას. ომი მთელი თავის საშინელებით და წინანდელ სისასტიკით კვლავ ორ წელს გაგრძელდა. იგი უფრო მრისხანე შეიქმნა და გავრცელდა წყალქვეშ, მიწაზე და ჰაერში. და კაცობრიობამ იხილა, თუ დაუცველ ქალაქებს, მშვიდობიან სოფლებს და უდანაშაულო მცხოვრებლებს ვითარი მწუხარება, სიკვდილი და დაღუპვა ჰხვდებოდათ წილად. და ეხლაც, ვინ წარმოიდგენს თუ რამდენად განდიდდება ტანჯვა ყველასი, თუ სისხლიან სამ წელს კვლავ თვეები, ან და წლები დაემატება.

ნუ თუ კულტურულ ქვეყანას მკვდრებით დაფარულ მინდვრად გარდაქცევა ჰპართებს? ან და ნუ თუ ესოდენ განმშვენებული და აღყვავებული ევროპა, ვით უგნურობით შეპყრობილი კვლავ განაგრძობს უფსკრულისკენ სრბოლას, და თავის დაღუპვას თვითვე შეუწყობს ხელს?

ასეთ შემაძრწუნებელ მდგომარეობაში საშინელ განსაცდელის პირისპირ მდგომარენი, ჩვენ არ მივსდევთ არავითარ პოლიტიკურ მიზნებს, არ ვხელმძღვანელობთ არც ერთ მებრძოლ სახელმწიფოს თხოვნებით თუ ინტერესებით, არამედ შეგნება ჩვენის უმაღლესი მოვალეობისა ვითარცა ყველა მომაკვდავთა მამისა, სულიერ შვილთა თხოვნა, რომელნიც ჩვენგან სამშვიდობისმყოფო სიტყვას ელიან, გრძნობა ადამიანობისა და გონება გაგვხდომია ხელმძღვანელად და კვლავ ზავისკენ მოგიწოდებთ, კვლავ მოგმართავთ მათ, ვის ხელთ გიპყრიათ ერთა ბედი. მაგრამ ჩვენ აღარ გვსურს ვით წინად დავკმაყოფილდეთ საერთო სიტყვებით. წინად ამას გარემოება გვაიძულებდა, ეხლა ჩვენ უფრო კონკრეტულ და პრაქტიკულ წინადადებით გვსურს გამოსვლა. ჩვენ გვსურს მოვიწვიოთ მებრძოლ ერთა მთავრობანი, რომ შეთანხმდენ შემდეგს საკითხებში, რომლებიც ფუძედ უნდა შეიქმნენ სამართლიანსა და მტკიცე ზავს. ამასთან ამ საკითხების განმარტება განვითარებას ჩვენ თვით სახელმწიფოებს ვუთმობთ.

უპირველეს ყოვლისა ძირითად პრინციპად უნდა მიღებულ იქმნას დებულება, რომ იარაღის მატერიალურ ძალის ადგილი უფლების მორალურ ძალამ უნდა დაიჭიროს.

აქედან გამომდინარეობს, რომ უნდა მოხდეს საყოველთაო სამართლიანი შეთანხმება ერთდროულად, საყოველთაო შეიარაღების შემცირებაზე იმ წესებისა და გარანტიების მიხედვით, რომელნიც იმდენად უნდა დამყარდენ, რამდენადაც საჭირონი იქნებიან თვითეულ მხარეში წესრიგის დასაჭერად.

შემდეგ, ომის მაგივრად უნდა დამყარდეს არბიტრაჟი, რომელიც შეასრულებს დიად სამშვიდობო ფუნქციებს იმ ფორმებით, რომელიც შეთანხმებით უნდა შემუშავდნენ, და რომელსაც ხელთ ექმნება საშუალებანი იმ სახელმწიფოთა ძალდასატანებლად, რომელნიც კი უარს განაცხადებენ საერთაშორისო საკითხების არბიტრაჟით გადაწყვეტაზე ანდა ამ საკითხებზე გამოტანილ გარდაწყვეტილებათა მორჩილებაზე. რაკი, ამ გზით სახელმწიფოებრივი წესები დამყარდება, უნდა მოსპობილ იქმნას ყოველივე ის ზღუდე, რაც კი ხალხების ერთმანეთში მიმოსვლას წინ ეღობება, და აგრეთვე უნდა დამყარდეს ის წესები, რომელნიც უზრუნველ ჰყოფენ ყველა ეროვნულ ზღვების ნამდვილ თავისუფლებას.

ეს, ჯერ ერთი რომ მოსპობდა იმ უამრავ მიზეზებს, რომელთაც კონფლიქტების გამოწვევა შეუძლიათ, და მეორეც—ყველა ერს კეთილდღეობისა და პროგრესის ახალ წყაროებს მოუპოვებდა. რაც შეეხება ომით მიყენებულ ზარალისა და დანახარჯის აღდგენას, ამ საკითხის გარდასაწყვეტად ჩვენ სხვა გზა არ მიგვაჩნია, გარდა საზოგადო საურთიერთო შემწყნარებისა, როგორც საერთო პრინციპისა. ეს გზა გამართლდება აგრეთვე იარაღის საერთო აყრის უცილობელ სიკეთით, მით უმეტეს, რომ მოისპობა თვით აზრი ამ სისხლის მღვრელ ომის გაგრძელებისა. მხოლოთ მატერიალურ და ეკონომიურ მოსაზრებით.

თუ ცალკე შემთხვევებში გამოინახება საკმაო ნიადაგი ამ პრინციპიდან გადახვევისა, მაშინ იგი მეტის სიფრთხილით და სამართლიანობით უნდა იქმნას აწონილ-დაწონილი. ხოლო შეუძლებელია ყოველივე მშვიდობიანი შეთანხმება, რაც უნდა ღირსეულ იყოს იგი, თუ დაჭერილ ტერიტორიებს მეომარი სახელმწიფოები ერთმანეთს არ დაუბრუნებენ. ამის გამო გერმანეთმა თავის მხრივ უნდა სრულიად დასცალოს ბელგიეთი, რასაც უნდა მოჰყვეს ამ უკანასკნელის პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო დამოუკიდებლობის გარანტია, და აგრეთვე დაცლა საფრანგეთის ტერიტორიებისა. სხვა მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფმაც თავის მხრივ, უნდა სრულიად დასცალოს გერმანელთა ახალშენები. რაც შეეხება დანარჩენ ტერიტორიალურ საკითხებს, მაგალითად, რაც სადაოდ განდომიათ იტალიას, ავსტრიას, გერმანეთსა და საფრანგეთს—იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნათელი წარმოდგენა იარაღის აყრით დამყარებულ მტკიცე ზავის უთვალავ უპირატესობისა, გავლენას იქონიებს და მებრძოლი სახელმწიფოები მის გარდაწყვეტას აუცილებლობის გამო შეთანხმებით შეეცდებიან, რადგან მხედველობაში ექნებათ, როგორც სამართლიანობის პრინციპი, აგრეთვე საზოგადოთ ყველა შესაძლებლობა თანახმად იმისა, რაც ჩვენ წინადაც გვითქვამს ხალხის სურვილების გამო, სახელდობრ, ისა, რომ კერძო ინტერესები კაცობრიობის საერთო კეთილდღეობას უნდა ეთანხმებოდეს.

ასეთივე სამართლიანობით უნდა განხილულ იქმნენ სხვა ტერიტორიალური და პოლიტიკური საკითხები სახელდობრ, — შესახებ სომხეთისა, ბალკანეთის სახელმწიფოებისა და იმ მიწისა, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს, და რომელიც სხვათა შორის თავისი მადლიანი ისტორიული ტრადიციებით და ამ ომის დროს გადატანილ ტანჯვით უნდა მიიპყრობდეს ყველა ერთა თანაგრძნობას.

ის მთავარი ფუძენი, რომლებზედაც უნდა დამყარებულ იქმნას საერთაშორისო დამოკიდებულებათა მომავალი რეორგანიზაცია ისინი შეუძლებლად შეჰქმნიან ასეთს კონფლიქტების განმეორებას და შეამზადებენ ეკონომიურ საკითხის გარდაწყვეტას ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა საკეთილდღეოდ.

გიდგენთ რა ამ წინადადებებს თქვენ, ვინც ამ ტრაგიკულ დროს მებრძოლ ერთა ბედს განაგებთ, აღფრთოვანებულნი ვართ იმ მხიარულ იმედით, რომ მათ თქვენ მიიღებთ და ახლო ხანში უკვე ბოლო მოეღება ამ საშინელ ომს, რომელიც დღითი დღე უაზრო ხოცვა ჟლეტად იქცევა. მთელ ქვეყანას სწამს აგრეთვე, რომ თუ იარაღი არ ექნებათ არც ერთს მხარეს ორ მოწინააღმდეგეთაგან, ამით არავინ იზარალებს, და ა.შ. ყურად იღეთ თხოვნა ჩვენი, მიიღეთ მამობრივი მოწოდება, რომლითაც ღვთაებრივ მხსნელის, ქვეყნის მეუფის სახელით მოგიწოდებთ თქვენ. მიიღეთ მხედველობაში თქვენი მძიმე პასუხისმგებლობა როგორც ღმერთთან, ისე კაცთა წინაშე.

თქვენს გარდაწყვეტილებაზეა დამოკიდებული სიხარული და ბედნიერება უთვალავ ოჯახთა და ახალგაზრდა ჯარის კაცებისა. მოუპოვეთ ბედნიერება იმ ერებს, რომლის კეთილდღეობა უცილობლად თქვენი ვალია. შთაგაგონოთ ღმერთმა გარდაწყვეტილება კეთილი, თანახმად მის წმინდის ნებისა. მოიქეცით ისე, რომ მოიპოვოთ ქება თანამედროვეთა შორის და შთამომავალთათვის მშვიდობის მყოფელთა სახელით იხსენიებოდეთ. ყველა მშვიდობიანობისათვის ტანჯულებთან ლოცვითა და სინანულით მტკიცედ გაერთიანებული შევსთხოვთ ღმერთს, რომ შთამოვიდეს თქვენზე ღვთაებრივი გონება და ნათელი, განმანათლებელი გზათა თქვენთა.

ვატიკანი.
1917 წ. მარ. 1. (ახ. სტ.)

რევოლუცია

დეპეშები

ბოლშევიკ ჯარის კაცების დასჯა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 9. კორპუსების საგანგებო ჯარის შეერთებულმა სასამართლომ გაარჩია საქმე 44 ბოლშევიკ ჯარის-კაცისა, რომელთაც ბრალდებოდათ სამხედრო ბრძანების არ შესრულება, მიუსაჯა: ერთს 6 და სამს 4 წელიწადი კატორღა, ერთს გამასწორებელი სახლი 6 წლით და 31 კაცს სამი წლით და 6 თვით, ხოლო დანარჩენს—ორი წლით გამასწორებელ სადისციპლინო ნაწილში ყოფნა.

მოსკოვის თათბირი

წესრიგი თათბირისა

მოსკოვი მარ. 10. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრ ნიკიტინის თანდასწრებით საქალაქო გამგეობაში მოხდა თათბირი ადგილების განაწილებაზე სახელმწიფო თათბირისთვის. პარტერის ნახევარი დაენიშნა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, მეორე ნახევარი—დეპუტატთა საბჭოების წარმომადგენლებს. თათბირის დროს თეატრის შენობა გარშემორტყმული იქნება ჯარით. წარმომადგენლების ჩამოსვლა დაიწყო. ვოკზალზე აწყობენ ცნობათა მიმაწოდებელ ბიუროებსა, ხოლო თვით დიდს თეატრში—ცენტრალ ბიუროს. ნიკოლაის ვოკზალზე აწყობენ თათბირის გათავების შემდეგ წარმომადგენელთა შინ დაბრუნების ბიუროს.

ეროვნული საკითხი

ბელორუსების ორგანიზაცია.

მინსკი. მარიამობისთვის 8. დასრულდა ბელორუსების ორგანიზაცია. ცენტრალ რადის პირველი სესია მიიღეს რადის სტატუტი. ბელორუსთა მოძრაობის ხელმძღვანელ პასუხისმგებელ ორგანოდ რადა იქმნება. რადაში შედიან დეპუტატები: ბელორუსელთა ორგანიზაციებისა, ქალაქების, დაბების სოფლის საზოგადოებათა, ლტოლვილთა ორგანიზაციების და სამხედრო ნაწილების, რომელნიც ბელორუსების თვითმართველობა დედა ენის და ნაციონალურ კულტურის განვითარებას აღიარებენ. მტკიცდება ბელორუსელთა ნაციონალ-განმანათლებელ წრეების წესდება. მინსკში ბელორუსელ-ლტოლვილთა კომიტეტი იწყობა. კომიტეტს დახმარებას რადა აღმოუჩენს. მის სასარგებლოდ ერთ პროცენტიან გადასახადს ბელორუსელთა ორგანიზაციებიც გადიხდიან.

უკრაინა და რუსეთი

ნეკრასოვის ბაასი სეკრეტარიატის მდივნებთან.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 9. მინისტრ თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვმა რადის მთავარ სეკრეტარიატის წარმომადგენლებთან ბაასის დროს განაცხადა, რომ დროებითმა მთავრობამ, ინსტრუქციის თანახმად, დაადგინა, რომ მთავარ მდივნებთა შორის 3 უცხო ტომელი იყოს და არა 4, ვინაიდან სეკრეტარიატში 9 მდივანი შევა და არა 14. ინსტრუქციის მე-9-ე პუნქტი ომის დროთი აიხსნება, რადგან შეუძლებელია, რომ მთავრობას ასეთ დროში ადგილობრივ მოხელეებთან უსაშუალოდ საქმეების წარმოება არ შეეძლოს. დროებით მთავრობასთან უკრაინის კომისრის დანიშვნა მთავარ სეკრეტარიატის თანხმობით მოხდება. მდივანთა კომპეტენციის დეტალური განმარტება მოხდება. დროებით მთავრობის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ, მდივანთავე თანადაწყობით.

უკრაინის სეკრეტარიატის გადადგომა.

კიევი. მარიამობისთვის 10. უკრაინის საგენერალო სეკრეტარიატი გადადგა, ხოლო, სანამ აირჩევენ ახალს, განაგრძობს თავის მოვალეობის შესრულებას. გადადგომას უკავშირებენ დროებით მთავრობისგან სეკრეტარიატისთვის მიცემულ ინსტრუქციას.

რადამ მოსკოვის თათბირში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

კიევი. მარიამობისთვის 10. მოისმინა-რა დროებითი მთავრობის მოწვევა—გამოგზავნეთ წარმომადგენელნი უკრაინის ცენტრალი რადისა მოსკოვის თათბირზეო,—რადამ დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს თათბირზე.

ფინლიანდია და რუსეთი

საპროტესტო მიტინგები აბოში.

აბო. მარიამობისთვის 10. მოხდა ორი მრავალ-რიცხოვანი საპროტესტო მიტინგი მუშებისა. ჰელსინგფორსიდამ

ჩამოსული აგიტატორები მოუწოდებდნენ ხალხს მხარი დაეჭირონ ჰელსინგფორსის პროლეტარიატის ბრძოლას. მოწოდებამ გასჭრა, მეტადრე უმუშევართა შორის. საპროფესიო კავშირები ჯერ-ჯერობით დინჯად არიან.

ფინლიანდიის სოც.-დემოკრატების მოწოდება.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 10. ცენტრალმა კომიტეტმა ფინლიანდიის სოციალ დემოკრატების სასეიმო ფრაქციასთან ერთად გამოუშვა მოწოდება მცხოვრებთადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ სეიმი იკრიბება იმ კანონების მიხედვით, იმ პრინციპის ძალით, რომ რევოლუციურ გარდაქმნასთან ერთად მეფის უფლებამოსილება ფინლიანდიის სახელმწიფოებრივ ორგანოებს გადაეცა. დროებითმა მთავრობამ სეიმის დათხოვნის შესახებ მანიფესტი გამოსცა. იგი ცდილობს ფინლიანდიის თავისუფლება მოსპოს. სეიმს არ შეუძლიან დათხოვნის კანონიერებად ჩათვლა და ამიტომ მან მუშაობის გაგრძელება გადასწყვიტა. რუსი შოვინისტები იარაღის ძალით მოითხოვენ სეიმის მოქმედების შეწყვეტას, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა თუ ასეთ მიზნისთვის მთავრობა იარაღს მიმართავდეს, მაგრამ თუნდაც მიმართოს ხომ არ ჰგონია, რომ ფინებს თვითგამორკვევის უფლებაზე უარი ათქმევინოს. ახალ არჩევნების გამო მოწოდება ამბობს, რომ თუმცა იგი უკანონოა, მაგრამ, რადგანაც სენატმა მთავრობის მანიფესტი გამოაქვეყნა,—მუშები არჩევნებზე უნდა გამოცხადდნენ. უკანონოდ არჩეულ სეიმისგან არ შეიძლება ყოვლის უუაროდ კანონის აღსრულება, ამიტომ, თუ საჭიროდ სცნობს, მას შეუძლიან ძირითად კანონების შეცვლა. დასასრულ მოწოდება სთხოვს ფინებს, მტკიცედ დაიცვან სახალხო წარმომადგენლობა და ფინლიანდიის თავისუფლება.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ახალი ქალაქის თავი.** ს.-დემოკრატთა მეუმცირესეთა თათბირზე, როგორც იყო დაითანხმეს კენჭი ეყარა ქალაქის თავის თანამდებობაზე ნ. ზ. ელიავას. ნ. ზ. ელიავა ძველი სარევოლუციო მუშაკია, დიდხანს იყო განდევნილი სამშობლოდან ძველი მთავრობისაგან. 1905 და 1906 წლებში შესამჩნევ მონაწილეობას იღებდა ს.-დ. პარტიაში (მეუმრავლესეთა). სწავლა-განათლებით—იურისტია. უკანასკნელ ხანებში მას ეკავა მთავარ-კონტროლიორის ადგილი ქალაქთა კავშირის კომიტეტში, ხოლო რევოლუციის შემდეგ არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა.

◆ **ქართული ეკლესიის წინასწარი თათბირი.** დღეს, მარიამობისთვის 12, შუადღის 1-ელ საათზე ქალთა ეპარქიალ სასწავლებლის თეთრ დარბაზში დაიწყება ქართული საეკლესიო წინასწარი თათბირი. თათბირის წინ გადახდილ იქნება პარაკლისი სასწავლებლის ტაძარში. სწირავენ ქართულ ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდე, ეპისკოპოზი ანტონი, დეკანოზი ნაზარი და თბილისის ქართველი სამღვდელოება.

◆ **ტრამვაი.** ჯარის-კაცთა და მუშათა აღმასრულებელ კომიტეტმა, თანადასწრებით ტრამვაის დირექტორის ფ. პ. ტახტაჯიანისა, შეიმუშავა ზოგიერთი წესები ვაგონების მოძრაობის მოსაწესრიგებლად. სხვათა შორის დადგენილია გაჰყონ ტრამვაის მთელი ქსელი 9 უბნად, სადაც თვითეულში დანიშნული იქნება საგანგებო კომისარი. ყოველს ვაგონს თან მოჰყვება ჯარისკაცთა დარაჯი.

◆ **ცეცხლი ალექსანოვის ქარხანაში.** მარიამობისთვის 9-ს, ალექსანოვების ქარხნის შენობებში დიდი ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი თანდათან გაძლიერდა. მეხანძრეთა რაზმმა ბოლოს შესძლო ცეცხლის ჩაქრობა. საერთო ზარალი 100,000 მან. უდრის.

◆ **დამფუძნებელი კრების საგუბერნიო საარჩევნო კომისია.** შესდგა დამფუძნებელი კრების საგუბერნიო საარჩევნო კომისია, რომელშიაც შედიან ყველა პარტიის და ორგანიზაციის წარმომადგენლები. დ. მ. პაპავა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისაგან; ვლ. ბოგუცკი მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების აღმ. კომიტეტისაგან; გ. ვ. ზურცალოვი ხალხის თავისუფლების პარტიისაგან; ალ. დენისოვი აღმ. კომიტეტისაგან; გ. დ. ჟურული ქალაქის გამგეობისაგან; მ. საყვარელიძე ს.-ფედერალ. პარტიისაგან; მ. დ. ბაბოვი—„ჰნჩაკისაგან“, დ. ლებედევი—ს.-რევოლუციონერებისაგან, გ. გ. ვეშაპელი—ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისაგან.

◆ **ტელეგრაფის მავთულების გაფუჭება.** ტელეგრაფის მავთულები პეტროგრადის და მოსკოვის მიმართულებით გაფუჭებულია. ამიტომ ჩვეულებრივი დეპეშები მოსკოვში და პეტროგრადში ფოსტით იგზავნება, მხოლოდ „სწრაფი“ დეპეშები იგზავნება ტელეგრაფით და ისიც როსტოვ-კიევის მიმართულებიდან.

პროვინცია.

◆ **წარმოდგენა ახალციხეში.** ქ. ახალციხეში 20 ივლისს კლუბში, გაიმართა წარმოდგენა—შაქრო ძველელის მონაწილეობით = ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციის სასარგებლოთ. წარმოდგენილი იქმნა, „დამარცხებულნი“ ირეთელისა. წარმოდგენამ საუცხოვოთ ჩაიარა, დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქალაქის ახალი საბჭო

მარიამობისთვის 10 სხდომა.

ქალაქის თავის არჩევანი.

სხდომის დარბაზში საერთოდ მოწყენილობაა, ყველა უგულოდ ზის, ერთი მეორეს უბღვერს, თითქოს ერთი მეორეს ემდურის. მხოლოდ გამონაკლისს შეადგენენ ბოლშევიკები, ისინი ერთ კუთხეში მოყრილან და ცხარეთ ლაპარაკობენ. სჩანს დიდ საკითხს სწყვეტენ... დაშნაკცაკანებიც დიდ ჯაფაში არიან, ერთი ალაგიდან მეორე ალაგზე გადადიან, სჯა-ბაასობენ, ფაცა-ფუცს თითქოს არ იმჩნევენ.

უკვე ცხრა საათი სრულდება. სხდომა მაინც არ იწყება. აუდიტორიას დაღალვა ემჩნევა. აქა-იქ ტაში ისმის, სხდომის დაწყებას თხოულობენ.

ათი საათი უკვე დაწყებულია, რომ დარბაზში საბჭოს თავმჯდ. ე. გეგეჭკორი შემოდის და თავმჯდომარის ალაგისაკენ მიეშურება.

უპირველესად ევგენი გეგეჭკორი თხოულობს წარსული სხდომის ოქმის დამტკიცებას. მდივანი კითხულობს წარსული სხდომის ანგარიშს. არავის საწინააღმდეგო არა აქვს რა, ჟურნალი ყველას მიერ დამტკიცებულია.

ამას შემდეგ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ რადგან ხმოსანს გერონტი ქიქოძეს უარი განუცხადებია ხმოსნობაზე, მის მაგიერ მოწვეულია ნაციონალ-დემოკრატთა სიის პირველი კანდიდატი გრიგოლ ვეშაპელი.

საბჭო ამტკიცებს ახალ ხმოსანს.

შემდეგ თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩის პატივსაცემ სიტყვას ლაპარაკობს, ახასიათებს მას, როგორც ერთ საუკეთესო მებრძოლთაგანს და აუდიტორიას სთხოვს ფეხზე ადგომით სცენ პატივი მის ხსოვნას...

პატივსაცემითი ცერემონიალი შესრულებულია, და ის არის დღიურ წესრიგს უნდა შეუდგნენ, რომ ფ. მახარაძე სიტყვას თხოულობს რიგს გარეშე.

თავმჯდომარე. თუ კი დღიური წესრიგის განმარტებას შეეხება—ინებეთ და ამასთანავე ასწავლის ბ-ნ ფ. მახარაძეს, რომ ამა თუ იმ რიგს გარეშე წამოყენებულ საკითხისთვის თავმჯდომარე წინდაწინვე უნდა ჰყოს გაფრთხილებული.

ფ. მახარაძე (ბოლშევიკი) თხოულობს დასმულ იქმნას საკითხი სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ.

თავმჯდომარე უცხადებს, რომ დროთა შესაფერად ეს საკითხი დასმულ იქნება და საქალაქო გამგეობის შემადგენლობის არჩევნების საკითხს უბრუნდება.

ბ. გვაზავა. მოითხოვს, რომ საქალაქო გამგეობის შემადგენლობა იმ წესრიგით იყოს, როგორც ეს ქალაქის გამგეობის მოხსენებაშია აღნუსხული.

1—ქალაქის თავი.
2—მისი ამხანაგი.
8—წევრი.

ნ. რამიშვილი. იზიარებს გვაზავას მიერ წამოყენებულ თერთმეტ წევრიან სისტემას.

ალაჯანოვი. (დაშნაკცაკანი) მოითხოვს ქალაქის გამგეობის შემადგენლობის არჩევნებში დაცულ იქმნას პრინციპი კოალიციალური და პროპორციალური. (ეს წინადადება ხმოსნებში ხმაურობას იწვევს).

ბერიოზოვი. (ს. რევ.) მოითხოვს, ჯერ მოხდეს ქალაქის თავის არჩევანი და შემდეგ საპარტიათაშორისო მოლაპარაკებულად ქალაქის გამგეობის არჩევნების შესახებ მოხდეს სხდომის დროებითი შეწყვეტა.

დაშნაკცაკანების წარმომადგენელი მოითხოვს, რომ ქალაქის თავის არჩევნებში აუცილებელია იქნას დაცული პრინციპი პროპორციალური.

ბ. გვაზავა. ქალაქის თავი ერთია და ერთი ყოველთვის ერთია, ამიტომ შეუძლებელია ერთში იქნას დაცული პრინციპი პროპორციალური.

ხუმთიონოვი (კადეტი), ვინაიდან საქალაქო გამგეობაში საჭირონი არიან საქმის ხალხი და არა ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელი, ამიტომ წინააღმდეგ მიდის პროპორციანულ სისტემისა და მხარს უჭერს კოალიციურ სისტემას.

ნ. რამიშვილი თხოულობს ქალაქის თავისთვის ჯამაგირის დანიშვნას თვეში 500 მ. წლიურად კი 6000 მან.

ამის წინააღმდეგ არავის არაფერი არ აქვს სათქმელი.

ნ. რამიშვილი. სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით ასახელებენ ნიკო ზურაბის ძე ელიავას.

მერხაილოვი (ს. რევ.) აცხადებს, რომ მათი პარტია მხარს დაუჭერს ელიავას კანდიდატურას.

ინციდენტი.

მ. ცხაკაია (ბოლშევიკი) აცხადებს, რომ ვინაიდან მენშევიკების პარტიამ უღალატა დემოკრატიას, ამიტომ ჩვენ ელიავას წინააღმდეგ წავალთ კენჭის მიცემაში. ასეთი ნაბიჯი საჭიროა პოლიტიკურ აღზრდისათვისაო.

გეგეჭკორი. შეურაცხყოფილია და აცხადებს, რომ როგორც თავმჯდომარეს შეეძლო შეეჩერებია ორატორი (ბოლშევიკების სკამებიდან ისმის „არ შეგეძლოთ“) როდესაც ის მათ პარტიას შეურაცხყოფას აყენებდა, მაგრამ ეს მან ერთხელ აპატია ცხაკაიას, ხოლო მომავალში არ დაუშვებს ასეთ თავხედობას.

ფ. მახარაძე—მეტის მეტათ გაცხარებულია გეგეჭკორის მოქცევით და პროტესტს აცხადებს.

ცხაკაია. ფეხზე წამოდგება და ხმაურობს. სტყდება საშინელი ხმაურობა. თავმჯდომარე მეტის-მეტად გაცხარებულია, რიგს გარეშე ლაპარაკს ცდილობენ ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი, თავმჯდომარე მათ აჩერებს.

ბოლოს როგორც იქნება ინციდენტი თავდება. იდგმება ყუთი—ელიავა ღებულობს 68 თეთრს—და 7 შავს.

სხდომა 20 წუთით სწყდება.

ქალაქის გამგეობის შემადგენლობის არჩევანი.

სხდომა იხსნება. დარბაზში მღელვარებაა. თავმჯდომარე სთხოვს ხმოსნებს—დაბრძანდითო. როგორც სჩანს ს.-რევოლუციონერები და ს.-დემოკრატები შეერთებულან. ასახელებენ ექვს კაცს: კონიევს, ბზატიანს, სმირნოვს, პირუმოვს, ნათაძეს და კოლიუჯევს.

ალაჯანოვი თვალ-ცრემლიანი აცხადებს, რომ შერიგება არ მოხდა და რომ ს.-დემოკრატები ხმას უკარგავენ 19 ათას სომეხთ ამომრჩეველებს.

ნ. რამიშვილი აცხადებს, რომ თუ დაშნაკცაკანები მოისურვებენ, ისინი ყოველთვის მოახერხებენ მუშაობას მათთან.

შახატოვი (დაშნაკ.) სინამდვილეს ფარდას ხდის და აღიარებს, რომ 10 ადგილში დაშნაკცაკანებს მხოლოდ ერთ ალაგს უთმობდნენ და ისიც მას შემდეგ, რაც კადეტებმა უარი განაცხადეს ამ ადგილის მიღებაზეო. ამიტომ როგორც 20 ათას ამომრჩეველთა პარტიის წარმომადგენელს თავი შეურაცხყოფილად მოაქვს და პროპორციის დაცვას მოითხოვს.

ბ. გვაზავა წინააღმდეგია ასეთი არჩევნებისა.

გარჩაკიანი ს.-დემოკრატების მოქმედებაში ხედავს მათ სურვილს გეგემონიისას და აღიარებს, რომ მათ პარტიას უპირატესობა აქვს ესერების ფრაქციასთან, როგორც ადგილობრივს და როგორც მრავალრიცხოვანს.

როგორც სჩანს ეს დავა ყველასათვის მოსაწყენია, ამიტომ შემოაქვთ წინადადება კამათი შეწყვეტილ იქმნას და კენჭის ყრას მიჰყონ ხელი.

უმეტესობის მიერ წინადადება არ იქმნა მიღებული. კამათი გრძელდება.

ნ. ჟორდანია. ჩვენ ვდგევართ ინტერნაციონალურ ნიადაგზე—ჩვენთან არიან ს.-რევოლუციონერები. თბილისის ქალაქის საბჭოში მხოლოდ ინტერნაციონალურ ნიადაგზე შეიძლება დგომა.

ბერიოზოვი. მე არ შევუდგები იმის განმარტებას, თუ რომელ პარტიებს ს.-დემოკრატიულ, ს.-რევოლუციონურ, თუ დაშნაკცაკანებს უფრო მეტი ნიადაგი აქვთ. ვიტყვი, რომ ჩვენი პარტია და მენშევიკების პარტია ხელმძღვანელობენ დღევანდელ რევოლუციას.

ალაჯანოვი. ბატონებო, მხოლოდ ეს გაკლდათ გეთქვათ, რომ ჩვენ ასე გვინდაო, ჩვენ არ შემოვალთ ქალაქის გამგეობაში, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამითი ჩვენ მოვიგებთ, ვინაიდან სომხის დემოკრატია გაიგებს, თუ როგორ იცავენ მათ ინტერესებს ს.-დემოკრატები და ს.-რევოლუციონერები, და ჩვენი პარტიის გარეშემო შემოიკრიბებიანო.

როგორც სჩანს, ქანდარას მოსწონს ეს სიტყვები და ტაშის ცემით ეგებება ორატორს. ტაშის ცემას ხმაურობა მოსდევს.

გეგეჭკორი. ყოველ შემთხვევაში სტუმრებისათვის აკრძალულია ხმაურობა.

ალაჯანოვი. ვიცით თუ რა მნიშვნელობით სთქვით სიტყვა სტუმარი, თქვენ გარკვევით ამბობთ, რომ დაშნაკცაკანები სტუმრები არიან ქალაქის საბჭოში.

ეს სიტყვები ბევრს სიცილს გვრის, გარდა დაშნაკელებისა.

ნ. რამიშვილი. დაშნაკცაკანებს ერთი ორიგინალი თეორია აქვსო: სახელდობრ ყოველთვის უმცირესობა უნდა ბატონობდეს უმრავლესობაზე: დაშნაკცაკანებმა დღეს წამოაყენეს პროპორციალი სისტემა — კეთილი, ინებონ და სთქვან—სად იყვნენ უწინ, რათ არ ახსოვდათ პროპორცია მაშინ, როდესაც ქალაქის გამგეობის სვე-ბედი მათ ხელში იყო. მაშინ მათ არასოდეს არ მოგონებიათ პროპორცია,

ჯამალიანი. ვაცხადებთ, რომ არც ერთ ქალაქის საბჭოებში ჩვენი წარმომადგენლები არ იყვნენ—გარდა ახლად დათხოვნილ საბჭოისა, რომელშიაც მხოლოდ სამი წარმომადგენელი გვყავდა.

ალ. ლომთათიძე (ს. დ.) როდესაც საჯაროდ გამოდიან წინასწარი განზრახვით და ფიქრობენ დაამტკიცონ ის, რაც არ იყო, მაშინ ჩვენ მათ ვეკითხებით—ეს რას ნიშნავს—უცოდინარობას თუ უარესს, ვიდრე უცოდინარობას? ალაჯანოვი ამტკიცებს, რომ დაშნაკცაკანებს არ ჰყოლიათ წინანდელ საბჭოებში წარმომადგენლები და მხოლოდ უკანასკნელ საბჭოში ჰყავდათ მხოლოდ სამი. მე კი ვამტკიცებ, რომ ახლად დათხოვნილ საბჭოში არსებობდა ეგრედ წოდებული წრე ავლაბრელებისა, რომლებშიაც მხოლოდ დაშნაკცაკანები შედიოდნენ. ამ წრეს არასოდეს არ უხელმძღვანელებია ინტერნაციონალ თვალსაზრისით—ისინი ყოველთვის ზღუდავდნენ ქართველების და რუსების უფლებებს. ორატორს მოჰყავს, რამდენიმე მაგალითი დაშნაკცაკანელთა ძალდატანებისა და ბოლოს კვლავ ბრალდებით ათავებს სიტყვას.

კამათი ყველას მოსწყინდათ. შემოდის წინადადება მოისპოს კამათი. უმრავლესობის სურვილით კამათი ისპობა.

ყუთი იდგმება ქალაქის გამგეობის წევრობაზე წამოყენებულ ექვს კანდიდატს.

უმრავლესობის მხრივ ისინი გადიან. ორი მათგანი სმირნოვი და ნათაძე ქალაქის თავის ამხანაგათ, 4 კი წევრებათ. შემდეგი სხდომა ხვალისთვის არის დანიშნული.

მ. ხაიხელი.

ბათუმის ახალი საბჭო

მარიამობისთვის 7 საღამოს 8 საათზე საზოგადო საკრებულოს დარბაზში შესდგა პირველი სხდომა ბათუმის ქალაქის თვითმართველობის ახალ ხმოსანთა. სამოცი ხმოსნიდან სხდომას დაესწრო 54. სხდომა გახსნა ძველმა ქალაქის თავმა ბ. ეგ. მ. კრინიცკიმ, რომელმაც გრძნობიერი სიტყვით მიმართა ქალაქის ახალ მესვეურებს და უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა. მისივე თავმჯდომარეობით სხდომამ აირჩია ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე და მისი ორი ამხანაგი. სხდომაზე სრული შეთანხმებით გამოვიდნენ სოც.-დემოკ. და სოც.-რევოლ. ამათი ხმა უდრის 50. (ს. დ. 24, ს. რევ. 26), თავმჯდომარეთ დაასახელეს სოც.-რევ. ბულგაკოვი (ინჟინერი) მის ამხანაგებათ აფიცრები: ფონშტეინი (ს. დ.) და ლიოგენკი (ს. რევ.) სამივე არჩეულ იქნა კიდეც კენჭის ყრით.

ახლად არჩეულ თავმჯდომარეს ბ. კრინიცკიმ გადასცა ჯოხი და სხდომაც დატოვა. ბ. ბულგაკოვმა ამხანაგებს შესაფერი სიტყვით მიმართა. შემდეგ სადეკლარაციო სიტყვა წარმოსთქვა სოც.-დემ. გიზო ანჯაფარიძემ. ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. დეკლარაცია ქართულად წაიკითხა მეორე ს. დემ. ნ. ალნიაშვილმა. საპროგრამო სიტყვა სთქვა აგრეთვე ს. რ. ბ. ლევინმა. წუნდაუდებელი მგზნებარე სიტყვას ამბობს სოც.-ფედერალისტი ა. ს. მდივანი, მის სიტყვას ყველა ხმოსანი და დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან. შემდეგ სხდომა ასახელებს და კენჭის ყრით კიდეც ირჩევს ქალაქის თავად ქვეყნიერ იურისტს კოს. მიქ. საბახტარაშვილს, წევრებათ: გრიგოლ სილოდაშვილს (სოც. დემ.) მასწ. დიმ. სერ. მგელაძეს (სოც. დემ.) ახალგაზრდა მუსულმან იურისტს ხასან ეფენდი ლორთქიფანიძეს (სო. რევ.) და ებრაელ იურისტს კუზიატინს (სოც. რევ.) მდივნად ლაზარევს. ახლად არჩეული ქალაქის თავი შესაფერი სიტყვით მადლობას აცხადებს. ექვსივეს სხდომამ თანასწორი ჯამაგირი დაუნიშნა. თითოეულს ხუთი ათასი მანეთი. იმავე სხდომაზე აირჩიეს თვითმართველობის მდივნად ა. დ. ამ. ინწკირველი და იმდენივე ჯამაგირი დაუნიშნეს.

ამიერიდან სასურსათო კომიტეტი უნდა გაუქმდეს და მის მაგიერობა თვითმართველობამ უნდა გასწიოს. პირველ სხდომას, როგორც საზეიმოს მრავალი გარეშე ხალხი დაესწრო. კენჭის ყრამ დაამტკიცა, რომ ჯერჯერობით სხვა პარტიათა წარმომადგენელნიც ხმას ძლევენ გაბატონებულ პარტიების კანდიდატებს.

ა. წ—ძე.

ქართველი გრიგორიანები

თუ თვალებს განგებ არ ავიხვევთ და სინამდვილეს პირნათლად გავითვალისწინებთ, უკვე ყოვლივე უტყუარი საბუთებით დამტკიცებულია, რომ ქართველი გრიგორიანები სისხლითა და ხორცით წმინდა ქართველები არიან; სარწმუნოება კი, როგორც ეს ბ.ბ. ზაქარია ჭიჭინაძისა და პ. კარბელაშვილის საბუთებით მტკიცდება, ალა-მაჰმად-ხანისა, თუ მის მსგავს მტარვალთა შემოსევის დროს მიუღიათ, ვინაიდგან ასეთი მტარვალნი იმ ხანებში სომხების მიდგმას დიდ მფარველობას უწევდნენ.

მაშ, ვინ არიან საქართველოს მიწა-წყალზედ მოსახლე გრიგორიანები?!. სისხლითა და ხორცით წმინდა ქართველები, ხოლო სარწმუნოებით გრიგორიანები ე. ი. სომხის ეროს სარწმუნოების აღმასრულებელნი.

ამისი მსგავსი ქართველები სხვები ვინ არიან! ქართველნი კათოლიკენი, ებრაელნი და გამაჰმადიანებულ მესხეთის მკვიდრნი... და რომ ეს ასეა, თვითონ ისინი ამას ხმამაღლა და საჯაროთ აღიარებენ, მხოლოდ ქართველ გრიგორიანების საერთო გამოძახილი რაღაც მიზეზით იგვიანებს, თუმცა აქა-იქ კი ამა გამოძახილის ნიშნები უკვე იხედება (იხილეთ წერილი ამის შესახებ ქართველ გრიგორიანის, მწერალ-პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ბ. გრიგოლ გველესიანისა).

და განა საეჭვოა, რომ ქ. ქუთაისის, ონის, ჩხარის, საჩხერის, სურამის, ცხინვალის, გორის, ალის, ბორჯომის, ახალციხე-ახალქალაქის, თელავ-სიღნაღის და ვინ მოსთვლის კიდევ საქართველოს რამდენი დაბა-სოფლების და ქალაქების გრიგორიანები გვარ-ტომობით, სისხლითა და ხორცით პირწავარდნილი ქართველები არიან, ხოლო სჯულით კი გრიგორიანები. როგორც ქართველ კათოლიკეს, თავის თავს რომ ფრანგებს უწოდებენ, ფრანგების მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოება აქვსთ და მხოლოდ ამითი უკავშირდებიან რომის პაპის წმ. ტახტს, ისე ქართველი გრიგორიანები, თავის თავს რომ სხვების ჩაგონებით, შეცდომით სომხებს უწოდებენ, მხოლოდ სომხის სარწმუნოება, გრიგორიანობა აქვსთ მიღებული და ამითი უახლოვდებიან ეჩმიაძინის საპატრიარქო სინოდს, და ტომით თუ შთამომავლობით კი ისე განსხვავდებიან ჰაიასტანის (სომხეთის) სომხობისაგან, როგორც მზე და მთვარე, დღე და ღამე ურთიერთისაგან. და ვის გაუგონია, რომ ხატიაშვილი, ხოჯაშვილი, დუშუაშვილი, ბუტულაშვილი, ბაბულაშვილი და მრავალი ამისთანები სომხის გვარები იყოს?!. და ამ ქამად ხსენებული გვარების ხატისოვათ, ხოჯაიანცათ, დუშმიანცათ, თუ ბაბულიანცათ გადასხვაფერება, რასაც ამ ბოლო ხანებში მაინც, ხშირად შეხვდება კაცი სავაჭროების წარწერებზედ და რაიცა უთუოდ წამხედრობით უნდა აიხსნებოდეს. სწორედ ამაზედ უნდა იყოს ნათქვამი: „წამყმიდა წამხედურობამაო“.

ახლა კი როგორ უნდა მოიქცენ ქართველი გრიგორიანები თავის სარწმუნოებრივ საკითხში? როგორ და ისე, როგორც ქართველი კათოლიკენი მოიქცნენ. ქართველი კათოლიკენი, რომელთაგან ზოგი სომხურ ენაზედ დაწერილს წირვა-ლოცვას და სხვა მღვდელთ-მოქმედებას, ხოლო მეორე წილი კი ამავე მღვდელთ-მოქმედებას ლათინურ ენაზედ დაწერილს ისმენდენ ხოლმე ტაძრებში, ხოლო სომხური, თუ ლათინური ენისა არც ერთს გაეგებოდა არაფერი და არც მეორეს. და სწორედ ამის გულისათვის იმათ მოილაპარაკეს და ერთხმათ დაადგინეს, რომ დღეიდგან წირვა-ლოცვა მოისმინონ თავის სამშობლო ქართულ ენაზედ დაწერილი და არა მათთვის გაუგებარ სომხურ-ლათინურზედ!.. ამის და კვალად ქართველმა გრიგორიანებმაც უნდა მოითხოვონ წირვა-ლოცვა, თუ სხვა მღვდელთ-მოქმედების მოსმენა თავის სამშობლო ქართულ ენაზედ დაწერილი. ეს სამართლიანი მოქცევაც არის: ყველა ადამიანი ღმერთს უნდა ადიდებდეს თავის გასაგებ ენაზედ, [illegible] რას ემგვანება ბერძენი რომ რუსულად დაწერილს წირვა-ლოცვას ისმენდეს და რუსი ბერძნულად დაწერილს ან და ფრანგი ნემეცურად დაწერილს და ან ნემეცი ფრანგულად, თუ ინგლისურად!.. და ასე ამნაირად ქართველი გრიგორიანები არ უნდა აყვნენ მათ, ვინც იმათ გასომხებას ძალით სცდილობს, აქაო და რაკი სომხის სარწმუნოება გაქვს, შთამომავლობითაც სომხები ხართო და ერთმანეთში ურევენ სარწმუნოებასა და გვარ-ტომობას.

ჩვენ კი, ქართველი გრიგორიანების ღვიძლი ძმები, ქართველები, ძმურათ და სიყვარულით მოვახსენებთ, რომ მათ შემდეგშიაც ბეჯითად დაიცვან გრიგორიანთა სარწმუნოება, ვინაიდგან ცნობილია, რომ სარწმუნოება სინდისის თავისუფლებაა და ამ თავისუფლებას იმათ ვერავინაც ვერ წაართმევს, ნამეტურ ამ დიად თავისუფლების ხანაში, ხოლო გვარ-ტომობით კი თავისი თავი ქართველებათ უნდა იცნონ და ჩვენს ჭირსა და ლხინში მონაწილე უნდა გახდენ და ჩვენთან ერთად მოითხოვონ სრული პოლიტიკური და ტერიტორიალური ავტონომია საქართველოსი.

ქართველ გრიგორიანთათვის ცალკე სკოლებიც ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან მართლმადიდებელი და გრიგორიანების ქართველი ბავშვები ერთად უნდა სწავლობდენ საერთო სამშობლო ქართულ ენას, ხოლო სადვთო სჯულს კი ეგინი ცალ-ცალკე გაივლიან.

იმედია ამ ფრიად დიდს საკითხს ქართველი გრიგორიანებიც გამოეხმაურებიან და თავიანთ მიზან შეწყობილი მოქმედებით ხელს შეუწყობენ სამშობლოსათვის მეტად საჭირო დიდ საკითხს, ე. ი. ყველა ქართველების, სხვა და სხვა სარწმუნოების აღმსარებლების სრულ გაერთიანებას.

ვლ. მაჭარაშვილი.

საქართველოს ტყეები და მათი მომავალი

დღეს თუ ხვალ ჩვენ ძვირფასს და მრავალ ტანჯულს სამშობლოსაც გაუმართლდება დიდი ხნის ოცნება მისწრაფება, და იმედია დაგვემყარდება მეტად თუ ნაკლებათ ვრცელი ავტონომია. მაშინ ერის ხელში გადავა ის მამულიც, რომელიც საქართველოს ტერიტორიაში მოჰყვება.

თუ აქამდისინ არავინ გვეკითხებოდა საქართველოს და მის არე მარეს როგორ უნდოდა მოვლა, ამას იქით წმინდა მოვალეობა გვიწოდებს ჩვენ ყველას უპატრონოთ ჩვენს ქვეყანას, რომ ღირსეულათ დავიცვათ მდიდარი და დაუფასებელი სამკვიდრო—ჩვენი სამშობლო. ჩვენ—აწ მოვალენი ვიქნებით არ გავფლანგოთ ის განძი, რომელიც ერის საკუთრებათ შექმნილა ამას იქით. მაშ ამ ნეტარ დღისათვის მოვემზადნეთ!

იმ მამულებში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაში მოჰყვება, გამოჩენილი ადგილი ტყეს უჭირავს, როგორც თვალ გაუზომელი სივრცით, ისე დაუფასებელი მნიშვნელობით და სარგებლობით. ამიტომ, ამას იქით, სატყეო კითხვებიც დიდ ეროვნულ კითხვათ უნდა გადაიქცეს.

ქვევით შეძლებისა და გვარათ და რამდენათაც ადგილს დაგვითმობს გაზეთი, ვეცდებით გავუზიაროთ მკითხველებს: რამდენი ტყეა საქართველოში, ვის ეკუთვნოდა იგი აქამდისინ და ვის უნდა მიეკუთვნოს ტყე ავტონომიის შემოღების შემდეგ: რომელი ტყე შეიძლება გადაეცეს მშრომელ ხალხს, და რომელი—საერო ფონდს უნდა მიეკუთვნოს, რათ უნდა გავუფრთხილდეთ ტყეს, როგორ უნდა მოვეპყროთ ტყეს, რომ არც ტყე შევამციროთ და არც ხალხი შევაწუხოთ ტყის და სამოვრების ხმარებით?

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავისუფლება დაუბრუნებს ჩვენს ერს იმ მამულებს, რომელიც მოჰყვება საქართველოს ტერიტორიაში. მაშასადამე საქართველოში ქართველების ხელში უნდა გადავიდეს სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და საკაბინეტო მიწები.

ამ მამულებიდან გამოიყოფა ის სახნავ-სათესი და სავენახე ადგილები, რომელთაც საერო მნიშვნელობა არა აქვთ და გადაეცემა მშრომელ ხალხს. დანარჩენი მამულები, ჩვენის აზრით, ერის ხელ-უხლებელ ფონდათ უნდა დარჩეს.

ამ უკანასკნელ ფონდს მიეწერება ისეთი მამულები, რომელნიც გამოდგებიან სკოლებისათვის, ან რომელთაც სამეურნეო და სხვა და სხვა საზოგადო მნიშვნელობა ექმნებათ.

ამიტომ საერო ფონდს უნდა მიეკუთვნოს არამც თუ იმისთანა მამულები, როგორიც არიან საბოტანიკო ბაღები თბილისში, სოხუმში და ბათომში, არამედ საუფლისწულო მამულები წინანდალში, ჩაქვაში, ბორჯომში და მრ. სხ. ამ მამულებს მოელის დიდი

მომავალი, როგორც სამაგალითო სამეურნეო, ან სამკურნალო ადგილებს. ამ საუნჯით უნდა ისარგებლოს მთელმა ერმა.

საერო ფონდში უნდა აუცილებლივ ჩაირიცხოს აგრეთვე ტყეები სახელმწიფო აქნება იგი, თუ კერძო, გარდა იმისა, რომელთაც საერო მნიშვნელობა არა აქვთ. დანარჩენი ტყეები ერის ხელუხლებელ ფონდში უნდა გადავიდეს იმიტომ, რომ მას (ტყეს) დიდი და მუდმივი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის ბედ-იღბალში და მის ეკონომიკაში.

რამდენი ტყეა საქართველოში?

საქართველოს შეადგენს, როგორც ნაციონალ დემოკრატები აღნიშნავენ, თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის მხარე, სოხუმის, ზაქათლის, არტაანის და ოლთისის ოლქები, სოჭის ოლქის ნაწილები და ოსმალეთის საქართველოს პირი—თორთუმი და ლაზისტანი. რადგანაც არტაანის, ოლთისის, სოჭის ოლქის, თორთუმის და ლაზისტანის შესახებ საჭირო მასალა არა გვაქვს ხელთ, ამიტომ ამ ადგილებს არ შევეხებით. შემდეგში საუბარი გვექნება მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებზე, ბათომის მხარეზე, და სოხუმის და ზაქათალის ოლქებზე.

როგორც უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობებიდან ვიცით:

თბილისის გუბერნიაში	ითვლება	3.740,200	დეს. მიწა,	ამაში ტყე	1.262,678	დეს., რაც შეადგენს	33,8%
ქუთაისის	„	1.930,800	„	„	858,760	„	44,5%
ბათომის მხარეში	„	638,500	„	„	388,900	„	60,9%
სოხუმის ოლქში	„	603,300	„	„	466,744	„	77,4%
ზაქათალის	„	364,800	„	„	175,525	„	48,2%
სულ	.	7.277,600	„	„	3.152,607	„	48,3%

როგორც აქედან სჩანს, დასავლეთ საქართველოში ტყის რაოდენობაში (лѣсистость) პირველი ადგილი სოხუმის ოლქს უჭირავს, მეორე ბათომის მხარეს და შემდეგ ქუთაისის გუბერნიას.

აღმოსავლეთი საქართველო შედარებით უფრო ღარიბია ტყით, მეტადრე თბილისის გუბერნია. მაინცა და მაინც საქართველო ძალიან მდიდარია ტყით, რომელიც მომავალში შეადგენს დიდ დაუფასებელ საუნჯეს და ერის სიამაყეს.

შევადაროთ საქართველო ტყის რაოდენობით რუსეთს და სხვა ქვეყნებს. ევროპიულ რუსეთში (ჩათვლილია ფინეთი და კავკასია) ტყიანობა (лѣсистость) შეადგენს 33%. რუსეთის უმთავრესი ტყეები მოქცეულია ჩრდილოეთით, სადაც ტყე 65% შეადგენს. საშუალო გუბერნიებში (მოსკოვის რაიონში) ტყე 31 პროცენტია, ამდენივეა ოლგას მხარეს. დანარჩენი ადგილები ძალიან ღარიბებია ტყით: ბესარაბიის და კიევის მხარეს 12 პროც. ტყეა. სამხრეთ რუსეთში, სადაც რუსეთი ძალზედ ღარიბია ტყით, ტყიანობა ძლივს აღის 2 პროცენტამდისინ. აქედგანა სჩანს, რომ ტყის სიმრავლით საქართველო ჩამოუვარდება მხოლოდ ჩრდილო რუსეთს, დანარჩენი ადგილები კი ტყით გაცილებით ჩვენზედ ღარიბები არიან. რაც შეეხება ევროპას, ტყე აქ ასე არის განაწილებული: გერმანიაში 26 პროც. ტყეა, ავსტრიაში 32 პროც., საფრანგეთში 18 პროც., იტალიაში 15 პროც., ინგლისში მხოლოდ 4 პროც. შეერთებული შტატები უფრო მდიდრები არიან ტყით, ვიდრე ევროპის განათლებული ქვეყნები, აქ ტყიანობა 29 პროც. უდრის.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა საქართველო შევადაროთ კავკასიის სხვა გუბერნიებს, რომელთანაც შეიძლება შემდეგში ტყის ვაჭრობა მოვახერხოთ.

ჩერნომორის გუბ.	ითვლება	763.300	დესეტ.,	ამაში ტყე	515.374	დესეტინაა,	რაც შეადგენს	67,5	პროც.
თერგის ოლქში	„	6.674.200	„	„	996.595	„	„	14,9	„
ყუბანის ოლქში	„	8.687.200	„	„	1.001.846	„	„	11,5	„
განჯის გუბერნიაში	„	4.028.000	„	„	461.685	„	„	11,5	„
ყარსის ოლქში	„	1.716.200	„	„	115 025	„	„	9,7	„
ბაქოს გუბერნიაში	„	3.570.600	„	„	323.654	„	„	9,1	„
დაღესტნის ოლქში	„	2.719.400	„	„	157.999	„	„	5,8	„
ერევნის გუბერნიაში	„	2.542.600	„	„	86.809	„	„	3,4	„
სტავროპოლის	„	4.971.300	„	„	28.781	„	„	0,6	„

აქედგანა სჩანს, რომ საქართველოზედ მეტი ტყე მხოლოდ ჩერნომორის გუბერნიაში ყოფილა. დანარჩენი კავკასიის გუბერნიები ტყით გაცილებით საქართველოზედ ღარიბნი არიან. ამ გარემოებას არ შეიძლება არ მივაქციოთ დიდი ყურადღება, მით უფრო, რომ ახლო მდებარე გუბერნიებიც სამხრეთ რუსეთისა ტყით უფრო ღარიბნი არიან. კავკასიაში საქართველო თავის ტყეებით ოაზისსა ჰგავს. ეს გარემოება ჩვენი სამშობლოსათვის დიდ მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ტყეს ამ ბოლო დროს თან და თან დიდი ფასი ედება.

განათლებული ქვეყნები ცდილობენ არამც თუ თავიანთ ტყეების შენახვას, არამედ მის გაშენებას ახალ ალაგებზედ. სახელმწიფოები აძლევენ პრემიებს იმათ, ვინც ახლად ტყესა რგავს. აშენებულ ტყეებს კი ინახავენ სასტიკ კანონებით. ამ მხრივ საინტერესოა გერმანია, რომელიც არც ისე ღარიბია ტყით, მაინც ძალიან ბევრი ხის მორები შექონდა სხვა და სხვა ქვეყნებიდან, მომეტებულად რუსეთიდან; ამით თავის ტყეებს ძალზე უფრთხილდებოდა. მერე ამ შემოტანილ მორებს ხერხავდა და არამც თუ თვითონ ხმარობდა, გაქონდა კიდეც დახერხილი ფიცარი უცხო ქვეყნებში. ბევრი ამ მასალიდან რუსეთსაც კი უბრუნდებოდა უკან.

აქ მეტი არ იქნება მოვიყვანოთ სქემატიური მოსაზრება იმისა, თუ რამდენი ტყეა საჭირო ამა თუ იმ ქვეყნისათვის. იმ მხარეს, რომელსაც 15 პროცენტამდისინ აქვს ტყე, თავისი ტყე არ ეყოფა; ამიტომ გარედგან უნდა შემოიტანოს საჭირო ხის მასალა. ეს მხარე ტყით ღარიბ მხარეთ უნდა ჩაითვალოს. ტყე 15 პროცენტიდან 35 პროცენტამდისინ სრულიად საკმარისია ქვეყნისათვის. ამისთანა ტყიან მხარეს იშვიათად დასჭირდება ტყის შემოტანა. 35 პროცენტზედ მეტი ტყე არამც თუ სრულიათ საკმარისია ამ თუ იმ ქვეყნისთვის, მას შეუძლია ტყის მასალის გატანაც სამზღვარ გარეთ. ამისთანა ქვეყანა ტყით მდიდარ მხარეთ უნდა ჩაითვალოს. აქ მოხსენებულ სქემაში მხედველობაში მიღებული არ არის არც ხალხის სიმრავლე და არც ტყის ხარისხი. ამ სქემით საქართველო ერთობ ტყით მდიდარ ქვეყანათ უნდა ჩაითვალოს. შემდეგში დავინახავთ, რომ ამ სქემას შესწორება მოუხდება.

საქართველოს ტერიტორიაში ტყეები ეკუთვნის ან ხაზინას, ან კერძო პირთ. კერძო პირებზე მითვლილია საუფლისწულო და სამონასტრო ტყეები. ჩვენ დაწვრილებითი ცნობები ჯერ ჯერობით ხელთ არა გვაქვს—რამდენი მიწაა საუფლისწულო და სამონასტრო და რამდენი საზოგადოებისა და კერძო პირისა, ამიტომ ამ მამულებს ვაერთებთ.

საქართველოში ხაზინის ხელთ არის, როგორც ტყეები, ისე სხვა და სხვა მიწები. ხაზინის და კერძო პირის ტყეების რაოდენობა შემდეგია:

თბილ. გუბ. ხაზ. მამულები რიცხვით	766.952	დეს. შიგ.	481.745	დეს. ტყეს, კერძო პირის ტყეები უდრის	780.933	დ.
ქუთაისის „	415 099	„	263.058	„	595 702	„
ბათომის მხარეში „	570.305	„	258.900	„	130.000	„
სოხუმის ოლქში „	324.203	„	166.744	„	300.000	„
ზაქათალის „	88.350	„	85.525	„	90 000	„
სულ	2.164 909	დ.	1·255.972	დ.	1.896 635	დ.

როგორცა სჩანს, ხაზინას ორ მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა ეკუთვნის, რაც შეადგენს თითქმის საქართველოს ერთ მესამედს (29,7%), აქედგან 17,2% ტყეა და დანარჩენი 12,5% უმთავრესათ საძოვრებიან უვარგისი ადგილებია: ფრიალო კლდეები, მიუსავალი მთები, ჰაობები ტბები და სხ.

ჩვენთვის საინტერესოა გავიგოთ ვის უფრო დიდი ტყიანი ადგილი უჭირავს ხაზინას, თუ კერძო მემამულეებს. სხვათა შორის აღვნიშნავთ აქ, რომ რუსეთში უმთავრესი ტყის პატრონი ხაზინაა. მას ეკუთვნის ტყეების 86%. საქართველო ამ შემთხვევაში ძალიან განირჩევა რუსეთისაგან. ჩვენში კერძო მემამულეებს გაცილებით მეტი ტყე უჭირავთ, ვიდრე ხაზინას. რასაც ადვილათ დავინახავთ შემდეგ ციფრებიდგან.

თბილისის გუბერ.	1.262.678	დეს. ტყის, აქედან სახაზინო	481.745	დეს. კერძო პირთ ეკუთვნით	780.933	დ. ან	613,8%
ქუთაისის „	858 760	„	263.058	„	595 702	დ. ან	693 „
ბათომის მხარეში	388.900	„	258 900	„	130.000	დ. ან	333 „
სოხუმის ოლქში	466.744	„	166 744	„	300.000	დ. ან	64,3 „
ზაქათალის „	175.525	„	85.525	„	90.600	დ. საშ.	51,2 „
სულ	3.152.607	„	1.255.972	„	1.896.635	დ. ან	60,1 „

მაშასადამე, კერძო მესაკუთრეებს ხაზინაზე მეტი ტყე უჭირავთ გარდა ბათომის მხარისა, სადაც ხაზინას ეკუთვნის ტყეების ორი მესამედი. საშუალოთ საქართველოში ხაზინას უჭირავს ტყეების 40 პროცენ. მაგრამ ხაზინა საქართველოში ამ ტყეების უფრო დროებითი მესაკუთრეა ვიდრე საბოლოვო. მისი სამუდამო და უდავო საკუთრება გაცილებით ნაკლებია: ხაზინას აქვს უდავო საკუთრება სოხუმის ოლქში 155.380 დეს., თბილისის გუბერნიაში 32.496 დეს. და ქუთაისის გუბ. 4.849 დეს. სულ 192.725 დეს. ესე იგი ერთი მეშვიდედი იმისა, რასაც სახაზინო ტყის სახელი ჰქვია. ხაზინას ზაქათლის და ბათომის ოლქებში საკუთარი არც ერთი დესეტინა ტყე არა აქვს. რაც ამ ოლქებში სახაზინო მიწაა, ყველაში სახელმწიფო გლეხებსაც წილი უდევთ. თბილისის გუბერნიაში ხაზინის და სახელმწიფო გლეხების საერთო მფლობელობაში 426.478 დესეტ. ტყეა. ქუთაისის გუბერნიაში—136.936 დესეტ. ამისთანა ტყეები საქართველოში სულ 916.963 დეს., ან 73 პროც. ზოგიერთ ტყეებზე ხაზინას ჯერეთ დავა არ გაუთავებია.

ერთი სიტყვით საქართველოში ხაზინას ძალიან ცოტა ტყეები აქვს. სასურველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება, თუ არა? ჩვენის აზრით, არა? საქმე ის არის, რომ თუმცა ხაზინა აქამდისინ ისე ექცეოდა ქართველ ხალხს, როგორც დედინაცვალი, მაინც ტყეს უფრო ინახავდა, ვიდრე კერძო პირი. გარდა ამისა ხაზინა თავის ტყეს ცოტად თუ ბევრათ იკვლევდა და სამეურნეო გეგმას ადგენდა. კერძო პირის ტყეები კი აქამდის სულ გამოუკვლეველია (გარდა საუფლისწულო ტყეებისა) და ძალზედ გაჩეხილიცაა.

ზოგი პირი მარგებელიაო, სწორეთ ასე უნდა ითქვას რუსეთის დამხობილ მთავრობაზე—ტყის შენახვის თაობაზე. იქმნება ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თავის-უფლებას თან მოსდევს ხოლმე ტყის გაჩხრება: ხალხი თითქოს დაცემულ მთავრობის ჯავრს (1905 და 1917 წ. წ.) ტყეზედ იყრისა, იმ ტყეზე, რომელსაც მთავრობა ასე უფრთხილდებოდა.

ხ. ქურდიანი.

(გაგრძელება იქნება)

კორესპონდენცია

გუმბრიდან

5 მარიამობისთვეს, ქ. გუმბრში (ალექსანდროპოლი) ჯ.-კაცმა ნ. კვერნაძემ ქართველი ჯარის-კაცებისათვის წაიკითხა ლექცია ნაციონალურ საკითხზე.

ლექცია მეტად მოკლე იყო და შეიცავდა იმ რეზოლიუციის გაფართოვება-გაშუქებას რომელიც ნ. ჟორდანიამ წამოაყენა და მიღებული იქმნა რ. ს.-დემოკრატების ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის მეექვსე ყრილობის მიერ.

ლექციის გარჩევა ამ წერილის საგანს არ შეადგენს, მხოლოდ გამოცა როდესაც ამხ. კვერნაძემ დამსწრე ჯარის კაცებს გააცნო, რომ ჩვენში არსებობს სამი უმთავრესი პარტიული მიმდინარეობა: ს. დემოკრატიული, ბურჟუაზიული და ფეოდალური ანუ თავად-აზნაურული!.

ლექციის დასრულების შემდეგ, როდესაც რამდენიმე საკითხზე გამოკამათება გვინდოდა, წამოდგა პრაპ. შატბეროვი და ჯ.-კაცებს მოუხმო ნუ უგდებენ ყურს ფედერალისტების ჩუმ გამოსვლებს, რომელნიც რაღაც გაურკვეველ მალულ სამხედრო კავშირში გაწევრენო.

შატბეროვის ასეთი უსაბუთო და პროვოკატორული გამოსვლა დავგმეე მე როგორც ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელმა და დავარწმუნე (თუ დარწმუნდებიან რომ დღისით სინათლეა) ისინი, რომ სამხედრო კავშირი არ წარმოადგენს ფედერალისტების ბუდეს, არამედ არის მხედართა უპარტიო კავშირი, რომელსაც აქვს დასახული გარკვეული მიზნები.

გაიმართა კამათი.

სხვათა შორის ჯ.-კაცმა მგელაძემ წამოისროლა ისეთი ბინძური და უზრდელი სიტყვები, რაც ქართველთა სამხედრო კავშირს არ შეუძლია მოითმინოს და რომელიც რამდენიმე ათი ათას ქართველ ჯარ. კაცს თავმოყვარეობას უგინებს და ჩირქსა სცხებს.

— „ქართველ მხედართა კავშირის გამოსვლა ამ რევოლიუციის ჟამს ქუჩურიაო. ამისთვის ჯ.-კაცს მგელაძეს ვსთხოვე მიპასუხოს შემდეგ კითხვებზე:

1) 5 მარიამობისთვეს ლაპარაკობდა ის (მგელაძე) თავის პარტიის სახელით, თუ არა და თუ ჰო რა საბუთებით ხელმძღვანელობს მისი პარტია როდესაც სამხედრო კავშირს **ქუჩურს** უწოდებს?

2) თუ თავს დანაშაულად ცნობს დაიბრუნოს თავის სიტყვები უკან, და ბოდიში მოიხადოს კავშირის წინაშე თბილისელი პრესის საშვალებით.

წინაამდეგ შემთხვევაში ჩემს თავს ნებას ვაძლევ ვუწოდო მას მისგან ცნობილი ქუჩური ტერმინი **ქუჩის ბიჭი და პროვოკატორი.**

პასუხის გაცემის დროთ ვაძლევ ორი კვირის ვადას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

ქ. სამხ. კავშ. ქ. გუმბრის კომიტეტის—მდივანი: **ჯ. კაცი ნიკ. ახათიანი.**

მეჯვრისხევიდან

სოფ. მეჯვრისხევის რაიონის კომისრის დავალებით შევუდექი სოფლის მცხოვრებლების აღწერას დამფუძნებელი კრებისთვის. უნდა მოგახსენო მკითხველს, რომ ყოველივე აღწერით სოფელი შეშინებულია და მცხოვრებნი მალავენ თავიანთ ვინაობას. ეხლა ერთ და იმავე დროს ხდება სამეურნეო აღწერა და აღწერა დამფუძნებელი კრებისთვის.

„რა გული გააწყალეთ, შვილო, ყოველდღე დადიხართ და სწერთ, ნეტავი რა გამოდის მაგდენი წერითაო“-შემომწყრა ერთი ქალარა მოხუცი.

მე დავარწმუნე ის, რომ მივედი ასაწერად დამფუძნებელი კრებისთვის. აუუხსენი შეძლებისა დაგვარად რას ნიშნავს დამფუძნებელი კრება და რა მნიშვნელობა აქვს მას.

მოხუცი სახტად დარჩა, მას ეგონა რომ დამფუძნებელი კრება მისთვის რაღაც საშინელება არის. დაღვრემილი სახე გამოეცალა და ცოტათი კიდევაც გაიღიმა.

სოფლის მასსა, სრულებით გამოურკვეველია, შეუსმენელია. მცხოვრებლებს ჯერ კიდევ ვერა აქვთ ჭკუაში გათქვეფილი ვინაა მისი მტერი, ვინაა მოყვარე. ყველა მოვლენას სკეპტიკურად უყურებს.

— „ეჰ, შვილო, მე ვერ გეტყვი ჩემ გვარს და სახელს. შენ, როგორც გეტყობა, „თებერვალისტი“ „ბურჯუაძე“ იქნებიო. სულ მაგ „თებერვალისტებმა“ დაგვღუპესო. მე ვარწმუნებდი მას, რომ ის სისულელეს მეუბნებოდა და “თებერვალისტი“ და „ბურჯუაძე“ ერთი და იგივე არ არის მეთქი. მაგრამ, დახეთ უბედურობას, მაინც ვერ დავიყოლიე.

ბევრმა მშობლებმა თავიანთი შვილების წლოვანობა არც კი იცის. მაგალითად, როდესაც ერთს დედას ვკითხე რამდენი წლისა იქნებოდა დაახლოვებით მისი უმცროსი ვაჟი, იმან მომიგო:

„რა ვიცი, შვილო, ჩემი შვილი ტენგიცკი პოლკშია, მეორე როტაშიო“!

ის იციან, რომ „თებერვალისტები“ „ბუჯუაძეები“ არიან და თავიანთი შვილების ვ-ნაობა კი ვერ გამოურკვევიათ..

დავ. გამრეკელი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საჩ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.48	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8,20	დილ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54	დილ.
„	საჩ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.12	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საჩ.	№ 4,	8.83	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოიდან	საჩ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საჩ.	№ 8***,	8.10	დილ.

გურიის სამღვდელოების სამაზრო საბჭო

ხთხოვს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა მშობლებს მობრძანდნენ ქ. ოზურგეთში, 20 აგვისტოს, დღის 2 საათზე, თავის წრიდან წარმომადგენლების ასარჩევად ხსენებულ სასწავლებლისთვის.

1—0—1

გამოვიდა

და დაურიგდა ხელის-მომწერლებს პირველი ნომერი სასწავლო ჟურნალ

„შინა-გიმნაზიისა და უნივერსიტეტისა“.

ჟურნალში დაბეჭდილია პირველი გაკვეთილები ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა, არითმეტიკისა, ბუნება-მსოფლიო ცნობისა და სხვა. ხელის მოწერა მიიღება. ფასი წლის დამლევამდე 5 მანეთი. მისამართი: въ Тифлисъ, Тумановскій пер. 24, Ивану Павловичу Ростомашвили.

3—733—2

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

კომიტეტი

ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალი კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

ოქროს მჭედელნი

ძმ. მაზველოვები

[illegible] ქუჩა, [illegible] სახ., № 9, ტელეფონი № 112.

[illegible] „დ. [illegible]“, [illegible] (წ.)